ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1750970

ნომერი: AR1287251

თარიღი : 17.02.2015

გაცემის თარიღი : 24.02.2015

გაცნობის თარიღი : 26.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

სულხან ცინცაძის 12;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კაკაბაძე პ/ნ 65002012448
- თბილისი მცხეთის II შეს. N 4

ორგანიზაცია:
- შპს ფუდკო კოდი: 405069125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

1. ვინაიდან ფოტომონტაჟის მიხედვით ასევე ხდება სავენტილაციო დანადგარებისა და მასზე ჟალუზის მოწყობა, შესაბამისად მოთხოვნის ტექსტში ამის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს, ხოლო ნომენკლატურაში "აბრებისა და რეკლამების განთავსება – ახალი მშენებლობასთან" ერთად დამატებით უნდა აირჩიოთ: "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა – რეკონსტრუქცია" და "დეკორატიული გაფორმების ობიექტები – ახალი მშენებლობა", რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის შეცვლის საშუალება და ისარგებლეთ შესაბამისი ღილაკით;
2. დამატებით წარმოსადგენია შორი მანძილიდან, სხვადასხვა (მათ შორის გევრდითა) ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც ნათლად გამოჩნდება მთლიანი შენობის ფასადი, ირგვლივ არსებული სიტუაცია, ტროტუარიც და ასევე მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის ჩვენებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.